

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2019 წლის 27 თებერვლის # 10

ხელშეკრულების დამატება #1

მხარეთა შეთანხმების შესახებ

ქ. ბათუმი

22 მარტი 2019წ

ერთის მხრივ შპს „ჰიგიენა 2009“ (ქ.ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. #1, ბინა 4-7) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხალვაშის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ შპს „კომპაუდი“ წარმომადგენელი დირექტორის კობა ბერაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის და 2019 წლის 27 თებერვლის #10 ხელშეკრულების მუ-13 მუხლის 13.1 პუნქტის საფუძველზე შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მხარეებს შორის 2019 წლის 27 თებერვალს გაფორმებულ #10 ხელშეკრულებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.
კერძოდ:

ა) ხელშეკრულების საგანი : მე-2 მუხლში დაემატოს 2.4 ქვეპუნქტი - 2019 სამეურნეო წლის განმავლობაში შპს „ჰიგიენა 2009“ -ის საწესდებო კაპიტალში მოსალოდნელი წინასწარ დაუგეგმავი ცვლილებების თაობაზე დამდგარი აუცილებლობიდან გამომდინარე აუდიტორული დასკვნების მომზადება.

ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადები: მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან ანუ 2019 წლის 27 თებერვლიდან და 2.1, 2.2, 2.3 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების ვადა განისაზღვროს 25 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან ,ხოლო 2.4 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

გ) ხელშეკრულების ჯამური ღირებულება : 4.1 მუხლი ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5585 (ხუთიათას ხუთას ოთხმოცდახუთი ლარი) ლარს , მათ შორის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1, 2.2, 2.3 პუნქტებით გაატვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 5485(ხუთიათას ოთხას ოთხმოცდახუთი)ლარს და 2.4 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 100(ასი) ლარს.

დ) ანგარიშსწორების ფორმა და წესი: მე-7 მუხლის 7.3 პუნქტი მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ორ ეტაპად მე-2 მუხლის 2.1; 2.2; 2.3 და 2.4 პუნქტების შესრულების შემდეგ ,შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2 შეთანხმება შედგენილია თანაბარ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად, რომეთაგან ერთი რჩება „შემსყიდველს „ ხოლო მეორე „მიმწოდებელს“

შეთანხმება წარმოადგენს # 10 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

„შპს ჰიგიენა 2009“

ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 1, ბ. 4-7

საიდ. კოდი 245626684

ს/ს ტერა ბანკი

ბანკის კოდი TEBAGE22

ა/ა GE98KS0000000340800017

მიმწოდებელი:

„შპს კომპაუდი“

ქ.თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი #95 ა

საიდ. კოდი 202385169

სს „ საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი BAGAGE22

GE62BG0000000192631800

